სიტყვების მოძებნა („სნაიპერი“)

მოსწავლეები ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ამობეჭდილ ტექსტებში ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს.



კლასი: I-III

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, გაზეთები.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ დაურიგებს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ამობეჭდილ ტექსტებს, ბროშურებს. შემდეგ სიტყვების კედლიდან ან დაფაზე წინასწარ ჩამოწერილი სიტყვებიდან მიუთითებს თითოეულ ჯგუფს მოსაძებნ სიტყვებს.
- მოსწავლეები მასწავლებლის მიერ დარიგებულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში, ეძებენ მითითებულ სიტყვებს და ფანქრით შემოხაზავენ.
- გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ყველაზე სწრაფად და სწორად იპოვის მასწავლებლის მიერ მითითებულ ყველა სიტყვას.

ვარიაცია

აქტივობის განხორციელების მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად კი არ შესთავაზოს მოსწავლეებს მოსაძებნ სიტყვათა სია, არამედ გარკვეული მახასიათებლები მისცეს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოძებნონ. მაგალითად: ლ-ზე დაწყებული სიტყვები, სამმარცვლიანი სიტყვები, მოქმედების გამომხატველი სიტყვები, სიტყვები მრავლობით რიცხვში, თვისების აღმნიშვნელი სიტყვები, მხოლოდ კვებასთან / დასვენებასთან / ემოციებთან / სხვ. დაკავშირებული სიტყვები და ა.შ.